პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1975 შაბათი 25 იანვარი № 21 (16147) ფასი 2 კაპ. 1975

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოგმართავთ თქვენ, საბჭომთის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს:

იყავით უფროს თაობათა ღირსეული ცვლა, მათი გმირული საქმეებისა და ტრადიციების გამგრძელებელნი. მტკიცედ და მუყაითად დაეუფლეთ ცოდნას, აღნიშნეთ ხუთწლედის დამამთავრებელი წელი დამკვრელური შრომით; შეიტანეთ ღირსეული წვლილი კომუნისტური პარტიის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, საყოველთაოსახალხო გრძოლაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან.

შრომითი გამარჯვება

ვოსკრესენსკის კუიბიშევის სახელობის ქიმიური კომბინატის მუშებს, მემონტაჟეებს, ეანქანათმშენებლებს, ექსპლოატაციის მუშაკებს, მინერალური სასუქების, სიმძლავრეთა მშენებლობისა და ათვისების ყველა მონაწილეს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ ვოსკრესენსკის კუიბიშევის სახელობის ქიმიური კომბინატის, მთავარმოსკოვოლქმშენის № 5 მოსოლქმშენის ტრესტის, სსრ კავშირის მონტაჟსპეცმშენის სამინისტროს ვოსკრესენსკის № 7 ტრესტის სამონტაჟო სამმართველოს კოლექტივებს, ვოსკრესენსკის ქიმიური კომბინატის მინერალური სასუქების სიმძლავრეთა მშენებლობისა და ათვისების ყველა მონაწილეს მეცხრე ხუთწლედში ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას.

სოციალისტური შეჯიბრების ფართო განვითარებამ, მშენებელთა, მემონტაჟეთა, მანქანათმშენებელთა და ქიმიკოსთა კოლექტივების დიდმა პატრიოტიზმმა საშუალება მისცა მათ ვადამდე აემოქმედებინათ ფოსფორმჟავას და ამოფოსის წარმოება, გაეღიდებინათ ამიაკისა და სუსტი აზოტმჟავას სიმძლავრეები და ოთხ წელიწადში გეგმის გადაჭარბებით გამოეშვათ 700 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი მინერალური სასუქი, მაშინ როცა ვალდებულებით მთელი ხუთწლედისათვის 500 ათასი ტონის გამოშვება იყო გათვალისწინებული. ქიმიური კომბინატის კოლექტივმა უკვე გადაჭარბა ხუთწლედის დამლევისათვის ნავარაუდევ წარმოების დონეს, მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა.

მიღწეული წარმატებები მუშათა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა თავდადებული შრომის, მშენებლობასა და წარმოებაში შრომის ზუსტი ორგანიზაციის, მშენებლობის ფართო ინდუსტრიალიზაციისა და წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის, იმ დიდი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შედეგია, რომელსაც პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ეწევიან ქმედითი სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისათვის. ვოსკრესენსკის ქიმიური კომბინატის ახალ სიმძლავრეთა მშენებლობის ვადამდე დამთავრებაში დიდი წვლილი შეიტანეს მოსკოვის ოლქის კომკავშირელებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ ვოსკრესენსკის ქიმიური კომბინატის მშენებელთა, მემონტაჟეთა და ექსპლოატაციის მუშაკთა კოლექტივები მთელ ძალღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას შოახმარენ ხუთწლედის დამამთავრებელი წლისათვის ნაკისრ იმ ახალ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას, რომლებიც ითვალისწინებს ახალ საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობასა და ამოქმედებას და მინერალური სასუქების გამოშვებას.

ვისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ შრომითს წარმატებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ახალგაზრდობა — ხუთწლედს!

ვიბრძოლოთ სტახანოველის წოდების მოსაპოვებლად!

უფროსი თაობის მაგალითი

ლირსშესანიშნავ დროს ვცხოვრობთ და ვშრომობთ. ყოველ დღეს ახალ-ახალი გამარჯვება მოაქვს საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ. წარმატებით შესრულდა მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები სახალხო მეურნეობისა და კულტურის სფეროში.

კარგად დაიწყო ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შრომითი ფრონტებიდან ყოველდღე სასიხარულო ცნობები მოდის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ქალაქად და სოფლად მთელი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება.

იმისათვის, რომ დავძლიოთ ხუთწლედის პირველი ორი წლის ჩამორჩენა, სასახელოდ შევასრულოთ ხუთწლედის დამამთავრებელი წლისა და მთლიანად ხუთწლიანი გეგმა, სპასტიო წვლილი შევიტანოთ საბჭოთა სამშობლოს ეკონომიკის განმტკიცების საქმეში, საჭიროა ყოველი დღე გამოვაცხადოთ დამკვრელურად, ყოველი საათი გამოვიყენოთ მაქსიმალურად, ვაწარმოოთ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით, უქმად არ დაგკარგოთ არც ერთი წუთი, დავაწესოთ ყოველდღიური კონტროლი, თუ ვინ როგორ ასრულებს გეგმას, ვალდებულებას.

იმისათვის, რომ ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას ახალი, მძლავრი გაჭანება მიეცეს, საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენს ახალგაზრდებს შთავუნერგოთ ის შრომითი ენთუზიაზმი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხუფევდა ორმოციან წლებში, როცა სტახანოვურმა მოძრაობამ მოიცვა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა სფერო, როცა სტახანოველობა ნიამაღისა და შრომით გამოწვეული სიხარულის გრძნობას იწვევდა. ეს ის თაობა იყო, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა დიდი სამამულო ომის მთელი სიმძიმე, ეს ის ახალგაზრდები იყვნენ, ვინც ფრონტზე თუ ზურგში, ბრძოლისა და შრომის ჭეშმარიტად გმირულ მაგალითებს გვიჩვენებდა; ეს ის ახალგაზრდები იყვნენ, საკუთარი სისხლით რომ მოიპოვეს გერმანულ ფაშიზმზე დიდი გამარჯვება, რომლის 30 წლისთავსაც მალე აღნიშნავს მთელი საბჭოთა ხალხი; ეს ის ახალგაზრდები იყვნენ, ვინც თითქმის შიშველი ხელებით აშენებდა დნეპრსა და ზაპესს, ვოლგა-დონისა და ალაზნის არხებს; შრომობდნენ იმის ღრმა რწმენით, რომ ისინი ქმნიდნენ ახალ ცხოვრებას, სახალხო დოვლათსა და ბარაქას.

სწორედ ამ თაობამ წარმოშვა სახალხო გმირები, რომელთა სახელები დიდებით შეიმოსა და ბრძოლისა და შრომის ლეგენდად იქცა. სწორედ ამ ორმოციანი წლების გმირული თაობის, სტახანოველთა სახელით მივმართავთ ჩვენი დროის, 70-იანი წლების ახალგაზრდებს, რომლებსაც აქვთ ყველაფერი — მძლავრი სამამულო ტექნიკა, შეიარაღებული არიან საბჭოთა მეცნიერების მიღწევებითა და მოწინავეთა წლობით დაგროვილი მდიდარი გამოცდილებით, რომელთა წინაშეც გადაშლილია შრომის ფართო ასპარეზი, მთელი ძალით გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება, შრომით ადიდონ საბჭოთა სამშობლო და ჩვენი გმირი ხალხი.

ჩვენის აზრით დიდ სამამულო ომში გერმანულ ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავისა და სტახანოვური მოძრაობის აღსანიშნავად სასურველი იქნება დაწესდეს „70-იანი წლების სტახანოველის“ საპატიო წოდება იმ ახალგაზრდების დასაჯილდოებლად, რომლებიც ხუთწლედის დამამთავრებელ წელს განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს ყოველდღიურ შრომაში.

პირადად ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ კვლავაც ენერგიის დაუზოგავად ვიშრომოთ ჩვენს შრომითს კოლექტივებში, ახალგაზრდებს ვუჩვენოთ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების მოპოვების ახალი გზები და ჩვენს გვერდით მომუშავე თითო ან რამდენიმე ახალგაზრდას ხელი შევუწყოთ მოიპოვონ „70-იანი წლების სტახანოველის“ წოდება.

ჩვენო სახელოვანო ვეტერანებო, ჩვენი დროის კომკავშირელო ახალგაზრდებო, ჭაბუკებო და ქალიშვილებო! მოდით მთელი ძალით, ახალი გზნებით გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება. ხუთწლედის მეხუთე დამამთავრებელი წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განაღდებისათვის, სოციალისტური შეჯიბრება ავიყვანოთ ორმოციან წლების სტახანოვურ მოძრაობაზე უფრო მაღალ დონეზე, შემოქმედებითად, დღევანდელი ეპოქის შესატყვისად გამოვიყენოთ და განვავითაროთ მათი გამოცდილება. ყოველ დღე — მხოლოდ დამკვრელური! დავაწესოთ მტკიცე, ყოველდღიური კონტროლი, თუ ვინ როგორ ასრულებს გეგმას, ვალდებულებას! არც ერთი ჩამორჩენილი — ჩვენს გვერდით! ამ გზით, შეჯიბრების მხოლოდ ასე მოწყობით უზრუნველვყოფთ იმ დიად მიზანდასახულობათა განხორციელებას, რომელიც ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XXIV ყრილობამ ჩამოაყალიბა მეცხრე ხუთწლედის დირექტივებში!

თამარ ყუფუნია,

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი.

ვასილ კაკინაშვილი,

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის ამწყობი ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი.

შრომის გმირების სიტყვა — საბჭოთა ქალიშვილებსა და ჭაბუკებს

თამარ ყუფუნია

ვასილ კაკინაშვილი

მუშენებლებმა გადანყვიტეს

№ 7 სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი — საქშენტმშენის (მმართველი ლ. კიკნაძე) კოლექტივმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წელი. წლიური გეგმა 10 დღით ადრე შეასრულა. გეგმის გადამეტებით 712 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულა და შექმნა მარაგსამეტი წლეულს რიტმული და გამართული მუშაობისათვის. იანვრის 20 დღის დავალება ყველა უბანმა და სამმართველომ გადაჭარბებით შეასრულა.

მშენებელთა კოლექტივმა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „1975 წლის სახალხო მეურნეობის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაწლის შესახებ“ პასუხად ერთსულოვნად გადაწყვიტა: წლიური გეგმა 20 დეკემბრისათვის შეასრულოს, ყველა საცხოვრებელი სახლი ჩააბაროს შეფასებით „კარგი“, შრომის ნაყოფიერება აამაღლოს 0,2 პროცენტით, სამშენებლო სამუშაოების თვითღირებულების შემცირებით მიიღოს 50 ათასი მანეთის ეკონომია, ხუთი ბრიგადა გადაიყვანოს იჯარით მუშაობაზე, ვადაზე ადრე 7 ნოემბრისათვის საექსპლოატაციოდ გადასცეს ქიათურის ახალი ითხუთსის მაღაროს, მადნეულის სამთოგამამდიდრებელი კომბინატისა და მარნეულის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მეორე რიგები.

ვალდებულებები განხილული და მიღებულია მუშენებელთა აქტივის კრებაზე.

ვინ როგორ ასრულებს გეგმას, ვალდებულებას

ამთავითვე — დამკვრელურად!

ხუთწლედის 1975 დამამთავრებელი

დევიზი: გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით!

ექვსი თვის გეგმა — 9 მაისისათვის!

დაპირებას ვადამდე გავანაღდებთ

გმირული შრომით უკვდავყოფთ ომში დაღუპულთა სახელები

ჩვენი დიადი ქვეყანა ემზადება ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავისათვის. ამასთან დაკავშირებით მოსკოვის საწარმოთა კომკავშირელებმა შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს. საბჭოთა ხალხის ამ დიადი გამარჯვების აღსანიშნავად ბელორუსის ბრიგადამ ვალდებულება იკისრა ექვსი თვის გეგმა 9 მაისისათვის შეასრულოს და ამით ღირსეული წვლილი შეიტანოს ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების საქმეში, ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში.

ამ პატრიოტულ ინიციატივას თბილისის ბევრი საწარმოს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები გამოეხმაურნენ. მათ შორის არის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კომკავშირულ - ახალგაზრდულ ბრიგადა, რომელსაც ი. ფიცხელაური ხელმძღვანელობს. ამ შრომითმა კოლექტივმა საიუბილეო თარიღამდე დარჩენილი დრო დამკვრელურად გამოაცხადა, ვალდებულება იკისრა ექვსი თვის გეგმა 9 მაისისათვის შეასრულოს და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია გამოუშვას. ბრიგადის თვითეული წევრი პირობის განსახორციელებლად თავდადებით შრომობს. იანვრის ოცი დღის შედეგები შეჯამეს. გამოირკვა, რომ ბრიგადამ თვის გეგმა უკვე გაანაღდა.

— მიღწეული დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს, — თქვა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში ბრიგადირმა, — ჩვენმა მამებმა, ძმებმა საკუთარი სიცოცხლის ფასად მოგვიპოვეს თავისუფლება. დღეს, ჩვენს ქვეყანაში მშვიდობიანი შრომა ჩქეფს. ახალგაზრდობის ვალია მონდომებული, მუყაითი შრომით კიდევ უფრო განვამტკიცოთ სოციალისტური სამშობლოს ძლიერება. შევეშვნათ უკეთესი ცხოვრების პირობები და ამით ჯვკვავყოთ ომში დაღუპული გმირების სახელები.

„სალუტ-3“ სადგური: ფრენა დამთავრდა

ფრენის მართვის ცენტრი, 24 იანვარი. (საკდესი). 24 იანვარს დამთავრდა „სალუტ-3“ ორბიტული სამეცნიერო სადგურის ხანგრძლივი კოსმოსური ფრენა.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სადგური დედამიწისირგვლივ ორბიტაზე გაიყვანეს 1974 წლის 25 ივნისს. იგი მუშაობდა შვიდ თვეს, რაც ერთიორად და მეტად აღემატება ფრენის თავდაპირველად დაგეგმილ პროგრამას. „სალუტ-3“ სადგურის ხანგრძლივი ორბიტული ფრენის შედეგად შესრულდა დიდი მეცულობის სამეცნიერო-ტექნიკური კვლევა და ექსპერიმენტები, რომელთა შედეგებს გამოიყენებენ მეცნიერების, სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის და ახალი კოსმოსური სისტემების შექმნის დროს.

დასკვნითი ოპერაციების შემდეგ დედამიწიდან მიცემული კომანდებით მოხდა სადგურის ორიენტირება სივრცეში და გაანგარიშებულ დროს ჩაირთო მისი ძრავის დანადგარი. დამუხრუჭების შედეგად სადგური გადავიდა დაშვების ტრაექტორიაზე, შევიდა ატმოსფეროს მჭიდრო ფენებში წყნარი ოკეანის აკვატორიის დასახულ რაიონში და შეწყვიტა არსებობა.

მიფრინავს „კოსმოს-704“

1975 წლის 23 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-704“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო-აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის: რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის, რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

„სალუტ-4“: პროგრამა სრულდება

ფრენის მართვის ცენტრი, 24 იანვარი. (საკდესი). „სალუტ-4“ ორბიტული სამეცნიერო სადგურის ფრენა მიმდინარეობს დასახული პროგრამით. სადგურში მე-12 და მე-13 სამუშაო დღის განმავლობაში კოსმონავტები ალექსი გუბარევი და გიორგი გრეჩკო ასრულებდნენ ასტროფიზიკურ და ბიოლოგიურ კვლევას და ექსპერიმენტებს. ეკიპაჟმა მოაწყო ციური სხეულების რენტგენული გამოსხივების კვლევის მორიგი ციკლი. ამასთან გამოსხივების ცნობილი წყაროების შესწავლისა და ახალთა ძიების მიზნით იყენებდნენ გაზომვების ორ სხვადასხვა რეჟიმი. ერთ-ერთ რეჟიმში ტელესკოპის ღერძი მუდმივად მიმართული იყო ცის დასახული უბნისაკენ. მეორეში — მეთაური ასორციელებდა საჭირო ორიენტაციას და სადგურის ბრუნვას სივრცეში, ბორტინჟინერი კი ტელესკოპთან მუშაობდა. ტელესკოპის ღერძის ამა თუ იმ მდებარეობის ზუსტი განსაზღვრისათვის გიორგი გრეჩკო ვარსკვლავური კამერის სამუალებით ფოტოსურათს უღებდა ზეცას.

ბიოლოგიური კვლევის პროგრამით სადგურში გრძელდებოდა ექსპერიმენტები უმაღლეს მცენარეებზე, მიკროორგანიზმებზე, ქსოვილების კულტურასა და მწერებზე. კოსმონავტები კონტროლს უწევდნენ ბიოლოგიური ბლოკების მუშაობას, აწარმოებდნენ კინოგადაღებას მცენარეთა ზრდისა და განვითარების თავისებურებათა აღრიცხვისათვის. ხელმეორედ დათესეს მიკროორგანიზმები, დაიკონსერვეს ქსოვილების კულტურის ნაწილი დედამიწაზე შემდგომი ლაბორატორიული ანალიზისათვის.

სადგურის საბორტო სისტემები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს. ამხანაგები გუბარევი და გრეჩკო თავს კარგად გრძნობენ. „სალუტ-4“ სადგურის ფრენა გრძელდება.

ოქტომგრის რევოლუციის ორდენი — როდნეი არისმენდის

24 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნინ კრემლში ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადასცა ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს როდნეი არისმენდის. მაღალი ჯილდო მას მიენიჭა საეროაშორისო კომუნისტური მოძრაობის წინაშე დამსახურებისათვის, იმ დიდი წვლილისათვის, რომელიც მან შეიტანა საბჭოთა და ურუგვაელი ხალხების მეგობრობის განმტკიცებაში და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა კავშირის კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის სახელით ნ. ვ. პოდგორნინ გულითადად მიულოცა რ. არისმენდის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოება, უსურვა ჯანმრთელობა, ბედნიერება და წარმატებანი საქმიანობაში.

საპასუხო სიტყვაში როდნეი არისმენდიმ დიდი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მაღალი ჯილდოსათვის.

რ. არისმენდიმ ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინტერნაციონალისტურ წვლილს მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების საქმეში.

ჯილდოს გადაცემას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები.



ლენინგრადი. ეს მძლავრი, ლამაზი მანქანები — 300-ძალიანი ტრაქტორები „კ-701“ გამოუშვა საწარმოო გაერთიანება „კიროვის ქარხანამ“. წარმოების საამქროებში ემზადებიან ველის გოლიათების ხერიული გამოშვებისათვის.

ბ. სარანცევის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

შრომითი გამარჯვება

ცხინვალის რაიონის არცევის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის 1975 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

ახორციელებს რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ პერიოდში მიღებულ მნიშვნელოვან დადგენილებას, ცხინვალის რაიონის არცევის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა (დირექტორი ზ. გოიაევი) გადაწყვეტა კვლავ ფართოდ გაშალოს სოციალისტური შეჯიბრების დროშა, შეჯიბრებაში ჩააბას სამმართველოები, უბნები, ბრიგადები, ცალკეული მუშები და მექანიზატორები, გაშალოს ბრძოლა ვალდებულებების პირნათლად განაღდებისათვის. 1975 წლისათვის არცევის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშათა კოლექტივი იღებს შემდეგ ვალდებულებებს.

სამეურნეო წელი წარმოების ყველა უბანზე დაამთავროს ეკონომების გადაჭარბებით შესრულებით, ამასთან წლის ბოლოს სახელმწიფოს მისცეს 100 ათასი მანეთი მოგება. ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 8 ათას ცენტნერზე მეტი ხილი, 1.500 ცენტნერით მეტი, ვიდრე გასულ წელს. ხილის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე გაზარდოს 90 ცენტნერამდე.

მოეწყობა მხხვილფეხა პირუტყვის სუნაგი. სახელმწიფოს მიეყიდება 724 ცენტნერი ხორცი, 5 ათასი ცენტნერი რძე. მთლიანად გაზრდილი მოლეკულ ნამატს.

გადაწყვეტილია 1,5-2-ჯერ გაზარდოთ კარტოფილის და ბოსტნეულის მოსავლიანობა, ჰექტარზე საშუალოდ მივიღოთ 550 ცენტნერი მარცვლეული. კეთილმფაწყოთ საძროხეები, სახბორეები, საღორეები. მაქსიმალური ყურადღებით მოვეკიდოთ მათს მექანიზაციას.

ვალდებულებანი განხილული და მიღებულია არცევის საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა საერთო კრებაზე.

მილოცვა კ. ალმეიდას

ბერლინი, 24 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირის ელჩი ვეონანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვ. ტ. ეფრემოვი შეხვდა თვალსაჩინო საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს, ჩილეს სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიის წევრს კლოდომირო ალმეიდას, თანმეალიც აქ იმყოფება და გადაეცა მას სკკპ ცენტრალური კომიტეტის მილოცვა. სკკპ ცენტრალური კომიტეტი უსურვებს კ. ალმეიდას ძალებმა აღდგენას, ჯანმრთელობასა და ახალ წარმატებებს ჩილეს მუშათა კლასისა და ყველა შრომელის სამართლიანი საქმისათვის ბრძოლაში.

ხელი მოაწერეს ოქმს

პრაღა, 24 იანვარი. (საკდესი). უნგრეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სპეციალისტებმა აქ ხელი მოაწერეს ოქმს ხელმძღვანელი ერთობლივი ტანამგზავრის „აუოს-ელიფსის“ პაპარატურისა და პროგრამის მომზადების შესახებ. მეცნიერული პროგრამა ამ ავტომატური ორბიტული სადგურისა, რომელიც ეფრინა ეწოდა „ინტერკოსმოსის“ თანამგზავრების ახალი სერიიდან, ითვალისწინებს უწინარეს ყოვლისა მზისა და გალაქტიკური წარმოშობის კოსმოსური გამოსხივების შესწავლას.

ბეირუთში განიხილეს

ბეირუთი, 24 იანვარი. (საკდესი). აქ იასირ არაფატის თავმჯდომარეობით გაიმართა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის სხდომა.

როგორც პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, სხდომაზე განიხილეს ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა, ლიბანის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიული მოქმედების შედეგები და სხვა საკითხები.

აღმასკომმა დაამტკიცა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის იმ დელეგაციის შემადგენლობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს არაბულ სახელმწიფოთა ერთობლივი თავდაცვის საბჭოს მუშაობაში. საბჭოს სხდომები 5 თებერვალს დაიწყება კაიროში.

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ

„სალუტ-3“ — „სოიუზ-12“ — „სალუტ-4“

ფრენის ხანგრძლივობა, ეკიპაჟის ფიზიკური მდგომარეობა, ბორტზე ბიოლოგიური ობიექტების ყოფნა, ბიოლოგიური ბლოკების ფუნქციონირება, ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩატარება, ბორტზე ინჟინერიული სისტემების ფუნქციონირება, ბორტზე ინჟინერიული ექსპერიმენტების ჩატარ

პროექტი წარდგენილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში მიწის წიაღი ნაციონალიზებულია. სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად იგი სახელმწიფო საკუთრება, ანუ საერთო სახალხო კუთვნილებაა.

წიაღის სახელმწიფო საკუთრება შეადგენს სსრ კავშირში წიაღის სარგებლობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობის სთუძველს. ქვნის წიაღის გეგმაზომიერი, კომპლექსური და რაციონალური გამოყენების პირობებს, უზრუნველყოფს ქვეყნის საწარმოო ძალების სწორ განლაგებასა და სახალხო მეურნეობის განვითარების სწრაფ ტემპს. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თაქტორია.

საბჭოთა კავშირს სასარგებლო წიაღისეულის დიდი მარაგი აქვს. მაგრამ სახალხო მეურნეობაში მინერალური ნედლეულის მოხმარების განუწყვეტელი ზრდა, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულის აღუდგენლობა ზრდის მისი მეცნიერულად დასაბუთებული, ეფექტიანი გამოყენების მნიშვნელობას და მოითხოვს, რომ სახელმწიფო და სხვა ორგანოები, საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებანი და მოქალაქეები მოითხოს ყაირათიანად ექცდებოდნენ ბუნებრივ სიმდიდრეებს.

საბჭოთა სახელმწიფო ზრუნავს არა მარტო ქვეყნის იმ მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია წიაღის გამოყენებასთან, არამედ იმისათვისაც, რომ უზრუნველყოს მომავალი თაობების ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობანი.

საბჭოთა წიაღის კანონმდებლობამ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი წიაღის უფრო რაციონალურ გამოყენებას, მის დაცვას და წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების უზრუნველყოფას.

ᲥᲐᲠᲗᲘ I.

ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

მუხლი 1. საბჭოთა წიაღის კანონმდებლობის ამოცანები

საბჭოთა წიაღის კანონმდებლობის ამოცანებია წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგება წიაღის რაციონალური და კომპლექსური გამოყენების, მინერალური ნედლეულით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფისა და სახალხო მეურნეობის სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, წიაღის დაცვის, წიაღის გამოყენების დროს სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აგრეთვე ამ დარგში კანონიერების განმტკიცება და საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა უფლებების დაცვა.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობა

წიაღის გამოყენებასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას (სამთო ურთიერთობა) სსრ კავშირში აწესრიგებს ის საფუძვლები და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის სხვა აქტები, რომლებიც ამ საფუძვლის შესაბამისად გამოიცემა.

წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებით, მიწების, წყლებისა და ტყეების გამოყენების წესს აწესრიგებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი კანონმდებლობა.

მუხლი 3. წიაღის სახელმწიფო საკუთრება სსრ კავშირში

სსრ კავშირის წიაღი არის მხოლოდ სახელმწიფო საკუთრება და გაიცემა მხოლოდ სარგებლობისათვის, მოქმედება, რომელიც აშკარა თუ ფარული ფორმით ართვევს წიაღის სახელმწიფო საკუთრების უფლებას, აკრძალულია.

მუხლი 4. წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგების დარგში სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციის განსაზღვრა

სსრ კავშირის კომპეტენციას განეკუთვნება წიაღის სარგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მოწესრიგება იმ ფარგლებში, რომლებიც აუცილებელია სსრ კავშირის რწმუნებულების განხორციელებისათვის სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად. მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციაში შედის ამ დარგში სხვა ურთიერთობათა მოწესრიგება.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია წიაღის სარგებლობასთან დაკავშირებული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგების, საკითხებში განსაზღვრება ამ საფუძვლების შესაბამისად.

მუხლი 5. წიაღით მოხარგებლენი

წიაღი სარგებლობისათვის ეძლევა სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს.

სსრ კავშირის მოქალაქეებს შეუძლიათ დადგენილი წესით აწარმოონ სასარგებლო წიაღისეულის ძიება და კუსტარული მოპოვება, აგრეთვე თავისი მეურნეობის საჭიროებისათვის მოიპოვონ საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეული და ტორფი.

ამ შემთხვევაში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით, წიაღი სარგებლობისათვის შეიძლება მიეცეს სხვა ორგანიზაციებსა და პირებსაც.

მუხლი 6. წიაღით სარგებლობის სახეობანი

წიაღი სარგებლობისათვის ეძლევა: გეოლოგიური შესწავლის, სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დამუშავების, ისეთი მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციის მიზნით, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, ნავთობის, გაზისა და სხვა ნივთიერებებისა და მასალების მიწისქვეშა შენახვისათვის, ჩამდინარე წყლების ჩაშვების, მაგნე ნივთიერებებისა და წარმოების ნარჩენების ჩამარხვის მიზნით.

სსრ კავშირის კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს წიაღით სარგებლობის სხვა სახეობანიც.

წიაღი სარგებლობისათვის ეძლევა უსასყიდლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი შემთხვევების გარდა.

მუხლი 7. წიაღის გაცემა სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დამუშავებისათვის

წიაღის მიცემა სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დამუშავებისათვის წარმოებს სამთო მონაკვეთის გამოყოფის საფუძველზე, რომელიც ადასტურებს სამთო მონაკვეთის გამოყოფას. სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დამუშავება სამთო მონაკვეთის ფარგლებს გარეთ აკრძალულია.

სამთო მონაკვეთი სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დამუშავებისათვის (საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოების გარდა) ეძლევა სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისათვის სამთო მონაკვეთი ეძლევა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით და რეგისტრაციაში უნდა გაატარონ სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებმა. საერთოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის ნუსხა განსაზღვრება სსრ კავშირის კანონმდებლობით.

სასარგებლო წიაღისეულის საბადოებისა თუ მისი ნაწილის საკიდელ-სამრეწველო დამუშავება, აგრეთვე ტორფის საბადოს დამუშავება ხორციელდება სამთო მონაკვეთის გამოყოფოდან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მიწათმოსარგებლეებს უფლება აქვთ თავიანთი მეურნეობის საჭიროებისათვის მათთვის მიცემული მიწის ნაკვეთის ფარგლებში მოიპოვონ საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეული და ტორფი საკუთარი მეურნეობის საჭიროებისათვის თუ დაარღვევს მოპოვების წესები და პირობები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებული იყოს წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლებიც.

მუხლი 12. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მონაწილეობა წიაღის დაცვისა და მისი რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში

სახელმწიფო ორგანოები მოვალენი არიან ყოველნაირად გამოიყენონ პროფკავშირი კავშირების, ახალგაზრდული ორგანიზაციების, ბუნების დაცვის საზოგადოებების, სპეციალური საზოგადოებებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეთა დახმარება წიაღის დაცვისა და მისი რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ საქმიანობაში, რომელიც მიზნად ისახავს წიაღის დაცვისა და მისი რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფას მათი წესდებების (დებულებების) და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

ᲥᲐᲠᲗᲘ II.

ᲬᲘᲐᲦᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

მუხლი 13. წიაღის დაცვის ძირითადი მოთხოვნები

წიაღის დაცვის ძირითადი მოთხოვნებია:

წიაღის სრული კომპლექსური გეოლოგიური შესწავლის უზრუნველყოფა;

წიაღის სარგებლობისათვის მიცემის დადგენილი წესის შესრულება და წიაღის თვითნებური გამოყენების დაუშვებლობა;

წიაღიდან ძირითადი და მასთან განლაგებული სასარგებლო წიაღისეულისა და მასში შემავალი კომპონენტების მარაგის რაც შეიძლება სრულად ამოღება და რაციონალურად გამოყენება;

სასარგებლო წიაღისეულთა მარაგის დაცულობაზე წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენის დაუშვებლობა;

სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დაცვა დატბორვისაგან, გაწყლიერებისაგან, ხანძრებისა და სხვა ფაქტორებისაგან, რომლებიც აუარესებენ სასარგებლო წიაღისეულის ხარისხს, ამცირებენ საბადოთა სამრეწველო ღირებულებას ან ართულებენ მათ დამუშავებას;

სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობების დაუსაბუთებელი და თვითნებური გაბაზენინების აღკვეთა და სხვა მიზნებისათვის მათი გამოყენების წესის შესრულება;

ექსპლოატაციასა და კონსერვაციაში მყოფი სამთო გამონამუშევრების და ჭაბურღილების, აგრეთვე მწისქვეშა ნაგებობების დაცულობაზე წიაღის გამოყენებასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენის დაუშვებლობა;

სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დაცვა დატბორვისაგან, გაწყლიერებისაგან, ხანძრებისა და სხვა ფაქტორებისაგან, რომლებიც აუარესებენ სასარგებლო წიაღისეულის ხარისხს, ამცირებენ საბადოთა სამრეწველო ღირებულებას ან ართულებენ მათ დამუშავებას;

სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობების დაუსაბუთებელი და თვითნებური ბურღვა, ნაფეხურების, ორმოებისა და სხვა მიზნებისათვის მათი გამოყენების წესის შესრულება;

ექსპლოატაციასა და კონსერვაციაში მყოფი სამთო გამონამუშევრების და ჭაბურღილების, აგრეთვე მწისქვეშა ნაგებობების დაცულობაზე წიაღის გამოყენებასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენის დაუშვებლობა;

ჩამდინარე წყლების ჩაშვების, მავნე ნივთიერებათა და წარმოების ნარჩენების ჩამარხვის დროს, აგრეთვე ნავთობის, გაზისა და სხვა ნივთიერებებისა და მასალების მიწისქვეშა შენახვის დროს, წიაღის გაჭუჭყიანების აღკვეთა.

ამ ბუნების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში წიაღით სარგებლობა შეიძლება შეზღუდონ, შეიჩერონ ან აკრძალონ სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებმა ან სხვა სპეციალურად რწმუნებულმა ორგანოებმა სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14. სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობების განაშენიანების პირობები

აკრძალულია დასახლებული პუნქტების, სამრეწველო კომპლექსებისა და სხვა სახალხო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობა, თუ წინასწარ გეოლოგიურად შესწავლილი არ იქნება წიაღი მომავალი განაშენიანების ნაკვეთის ქვეშ და შესაბამისი ტერიტორიული გეოლოგიური ორგანიზაციისაგან მიღებული არ იქნება მონაცემები, რომ წიაღში არ არის სასარგებლო წიაღისეული.

განსაკუთრებულ შემთხვევებში სასარგებლო წიაღისეულის განლაგების ფართობებზე განაშენიანება, აგრეთვე მათი განლაგების ადგილებში იმ მიწისქვეშა ნაგებობების აშენება, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, წარმოებს სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოების ნებართვით.

მუხლი 15. წიაღით სარგებლობის დროს ნაკრძალების, ბუნებისა და კულტურის ძეგლების დაცვა

წიაღით მოსარგებლეებმა უნდა დაიცვან გეოლოგიური, მინერალოგიური, პალეონტოლოგიური, არქეოლოგიური და სხვა ნაკრძალები, აგრეთვე ბუნებისა და კულტურის ძეგლები წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენისაგან.

წიაღით სარგებლობის დროს აღმოჩენილი გეოლოგიური და მინერალოგიური წარმონაქმნები, პალეონტოლოგიური, არქეოლოგიური და სხვა ობიექტების აღმოჩენის შემთხვევებში, რომლებსაც მეცნიერული და კულტურული მნიშვნელობა აქვთ, წიაღით მოსარგებლეები მოვალენი არიან შეაჩერონ სამუშაოები შესაბამის უბანზე და ეს შეატყობინონ სახელმწიფო ორგანოებს, რომლებსაც ამის სპეციალური რწმუნებანი აქვთ.

ნაკრძალებისა და მათი დაცვის ზონების, აგრეთვე ძეგლების დაცვის ზონების ფარგლებში წიაღის გამოყენების წესს აწესრიგებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

ᲥᲐᲠᲗᲘ III.

ᲬᲘᲐᲦᲘᲡ �გᲔᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲡ�წᲐᲕᲚᲐ

მუხლი 16. წიაღის გეოლოგიური შესწავლა

წიაღის გეოლოგიური შესწავლის მიზანია მიიღოს მონაცემები წიაღის გეოლოგიური აგებულების, წიაღში მიმდინარე პროცესების შესახებ, გამოვლინოს და შეაფასოს სასარგებლო წიაღისეული, საბადოები, მათი განლაგების კანონზომიერებანი, გამოარკვიოს სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისა და იმ მიზნებით წიაღის გამოყენების სამოთქვნელიერი და სხვა პირობები, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან.

მუხლი 17. ძირითადი მოთხოვნები წიაღის გეოლოგიური შესწავლისადმი

წიაღის გეოლოგიური შესწავლის დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

1) წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა რაციონალური მიმართულება, ამ სამუშაოთა ეფექტიანობა. ძირითადი და მასთან ერთად განლაგებული სასარგებლო წიაღისეულისა და მასში შემავალი კომპონენტების მარაგის რაოდენობისა და ხარისხის განსაზღვრის უტყუარობა;

2) დაზვერილი საბადოების დამუშავების სამთოტექნიკური, ჰიდროგეოლოგიური და სხვა პირობების სისრულე, აგრეთვე საბადოს გეოლოგიურ-ეკონომიური შეფასება.

3) წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოება იმ მეთოდებითა და ხერხებით, რომლებიც გამორიცხავენ სასარგებლო წიაღისეულის გაუმართლებელ დანაკარგებსა და მისი ხარისხის გაუარესებას;

4). წიაღიდან ამოღებული ქანებისა და სასარგებლო წიაღისეულის ისეთი განლაგება, რომელიც კამორიცხავს მათს მავნე გავლენას გარემოზე;

5). იმ საძიებო სამთო გამონამუშევრების და ჭაბურღილების დაცულობა, რომელთა გამოყენება შეიძლება საბადოების დამუშავებისას, და გამოყენებისათვის გაუთვალისწინებელი გამონამუშევრების და ჭაბურღილების ლიკვიდაცია დადგენილი წესით.

6) გეოლოგიური და საშემსრულებლო-ტექნიკური დოკუმენტაციის, ქანებისა და მადნის ნიმუშების, კერნის, სინჯების დუბლიკატების დაცულობა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს წიაღის შემდგომი შესწავლის, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დაძიების და დამუშავების დროს, აგრეთვე წიაღით სარგებლობისას, რომელიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან.

მუხლი 18. წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა სახელმწიფო რეგისტრაცია და სახელმწიფო აღრიცხვა

სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა მოხდეს წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოების სახელმწიფო რეგისტრაცია და სახელმწიფო აღრიცხვა წიაღის შესწავლის შედეგების განზოგადებისა და მაქსიმალური გამოყენების. აგრეთვე აღნიშნულ სამუშაოთა დუბლირების თავიდან აცილების მიზნით.

მუხლი 19. მინერალური ნედლეულის კონდიციები

საბადოების სამრეწველო მნიშვნელობის განსაზღვრისა და მათში სასარგებლო წიაღისეულის მარაგის გამოანგარიშებისათვის დაწესებულია მინერალური ნედლეულის კონდიციები თვითეული საბადოს მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სასარგებლო წიაღისეულის ხარისხისადმი. საბადოს დამუშავების სამთო-გეოლოგიური და სხვა პირობებისადმი მოთხოვნების ერთობლიობას.

მინერალური ნედლეულის კონდიციებს ამტკიცებენ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 20. სასარგებლო წიაღისეულის მარაგის დამტკიცება

სასარგებლო წიაღისეულის დაძიებული მარაგი უნდა დამტკიცდეს. მარაგის დამტკიცების ჯერს უნდა დადგინდეს დაზვერილი მარაგის უტყუარობა, სასარგებლო წიაღისეულის რაოდენობა და ხარისხი და განისაზღვროს მისი განლაგების პირობები, საბადოს შესწავლის დონე, მისი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა და მზადყოფნა სამრეწველო ათვისებისათვის.

სასარგებლო წიაღისეულის მარაგებს ამტკიცებენ ამისათვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამთო-მომამოვებელ საწარმოთა დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დროს უნდა შესრულდეს აგრეთვე ამ საფუძვლების მე-10 მუხლში აღნიშნული შესაბამისი მოთხოვნები.

მიწისქვეშა ნაგებობათა დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დროს, რომლებიც, დაკავშირებული არ არიან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, უნდა შესრულდეს ამ მუხლის მე-3-5 პუნქტებში, აგრეთვე ამ საფუძვლების მე-10 მუხლის შესაბამის პუნქტებში აღნიშნული მოთხოვნები.

სამთო-მომამოვებელ საწარმოთა, აგრეთვე ამ მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობა, რეკონსტრუქცია და საექსპლოატაციოდ გადაცემა, რომლებიც დაკავშირებული არ არიან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, იკრძალება, თუ მათი დაპროექტების დროს დაცული არ არის ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ᲥᲐᲠᲗᲘ V.

ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝ ᲬᲘᲐᲦᲘᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲓᲝᲗᲐ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲛ ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲐ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲐᲗᲐ ᲔᲥᲡᲞᲚᲝᲐᲢᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝ ᲬᲘᲐᲦᲘᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ

მუხლი 27. სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების წესი

სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავება წარმოებს წამოთომომამოვებელ საწარმოთა დამტკიცებული პროექტების შესაბამისად, აგრეთვე სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების, ნავთობისა და გაზის საბადოთა დამუშავების პროექტებისა და სქემების და ტექნიკური ექსპლოატაციის წესების შესაბამისად.

სამთომომამოვებელ საწარმოთა, ნავთობისა და გაზის საბადოთა ტექნიკური ექსპლოატაციის წესებს და სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმებს ამტკიცებენ შესაბამისი სახელმწიფო და სხვა ორგანოები სახელმწიფო სამთოზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 28. ძირითადი მოთხოვნები სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისადმი

სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებაზე დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

1) ძირითადი და მასთან გაწლაგებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ყველაზე რაციონალური და ეფექტიანი მეთოდების გამოყენება და მისი იმ კომპონენტების ამოღება, რომლებსაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ, აგრეთვე ის, რომ არ დაუშვან საბადოთა მდიდარი მონაკვეთების დაუსაბუთებელი ირჩევითი დამუშავება, სასარგებლო წიაღისეულის მარაგის გამოქვემუშავება, სასარგებლო წიაღისეულის ზენორმატიული დანაკარგები და გაღარიბება;

2) სამრეწველო ათვისებისათვის გადაცემული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა საბოლოო დაზვერვა;

3) გეოლოგიურ და მარკშაიდერულ საბუთათა შესრულება და გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა;

4) სასარგებლო წიაღისეულის მარაგის მდგომარეობისა და მოძრაობის დანაკარგებისა და გაღარიბების აღრიცხვა;

5) განხორციელებული სამთო სამუშაოთა შედეგად სასარგებლო წიაღისეულის დასამუშავებელ და მეზობელ საბადოთა გაფუჭების დაუშვებლობა, აგრეთვე წიაღში დაკონსერვებული მარაგის შენარჩუნება;

6) გზადაგზა მოპოვებული დროებით გამოუყენებელი სასარგებლო წიაღისეულის, აგრეთვე სასარგებლო კომპონენტების შემცველი წარმოების ნარჩენების შენახვა;

7) ძირითადი წარმოების ნარჩენების გამოყენება, აგრეთვე მათი სწორი განლაგება გარემოზე ნარჩენების მავნე გავლენის თავიდან აცილების მიზნით;

8) ავარიათა ლიკვიდაციის გეგმების შემუშავება და დამტკიცება.

მუხლი 29. სამთომომპოვებელ საწარმოთა ლიკვიდაცია და კონსერვაცია

სასარგებლო წიაღისეულის მარაგის დამუშავების დამთავრების შემდეგ, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა ტექნიკურ-ეკონომიური განგარიშებითა და სხვა დასაბუთებათა გამო საბადოს ან მისი ნაწილის შემდგომი დამუშავება მიზანშეწონილი არ არის ან შეუძლებელია, სამომომპოვებელი საწარმო, რომელიც საბადოს ამუშავებდა, ან ამ საწარმოს შესაბამისი ნაწილი უნდა გაუქმდეს, ანდა მოხდეს მისი კონსერვაცია.

სამომომპოვებელი საწარმოს სრული ან ნაწილობრივი ლიკვიდაციის თუ კონსერვაციის დროს სამთოგამონამუშევრები და ჭაბურღილები ისეთ მდგომარეობაში უნდა იყოს, რომ უზრუნველყოფდეს მოსახლეობის უსაფრთხოებას და გარემოს დაცვას, კონსერვაციის დროს კი საბადოს, სამთო გამონამუშევრების და ჭაბურღილების დაცულობას კონსერვაციის მთელ პერიოდში. სამთომომპოვებელი საწარმოს ლიკვიდაციის დროს უნდა გადაიჭრას აგრეთვე ის საკითხი, შეიძლება თუ არა სამთო გამონამუშევრების გამოყენება სხვა სახალხო სამეურნეო მიზნებისათვის.

სამთომომპოვებელი საწარმოს ან მისი ნაწილის ლიკვიდაციისა და კონსერვაციის დროს მისი გეოლოგიური და მარკშაიდერული დოკუმენტაცია ივსება სამთო სამუშაოთა დამთავრების მომენტისათვის და დადგენილი წესით გადაეცემის შესანახად.

სამთომომპოვებელ საწარმოებში, რომლებიც სალიკვიდაციო ან საკონსერვაციო საწარმოებს ემიჯნებიან, უნდა განხორციელდეს სამთო სამუშაოთა უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი ღონისძიებანი.

სამთომომპოვებელი საწარმოს ან მისი ნაწილის ლიკვიდაცია და კონსერვაცია ხდება სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 30. სასარგებლო წიაღისეულის კუსტარული მოპოვება

სასარგებლო წიაღისეულის საბადოები ან იმ საბადოთა უბნები, რომელთა დამუშავება სამთომომპოვებელ საწარმოთა მიერ მიზანშეწონილი არ არის, შეიძლება წიაღისეულის მაძიებლებს გადაეცეთ პირადი შრომით სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად.

კუსტარული მოპოვება წარმოებს სამთომომპოვებელ საწარმოებთან ხელშეკრულებებით. წიაღისეულის მაძიებლები მოპოვებენ პროდუქციას ობარებენ ადნიშნულ საწარმოებს, რომლებიც ამ პროდუქციას დადგენილი წესით ანაზღაურებენ.

სამთომომპოვებელ საწარმოებს ევალებათ გაუწიონ გეოლოგიური და მარკშაიდერული მომსახურება კუსტარულ სამუშაოებს, დაეხმარონ წიაღისეულის მაძიებლებს, კონტროლი დაუწესონ წიაღის მაძიებელთა მიერ სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დამუშავებას, აგრეთვე უსაფრთხოების ტექნიკის, სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობასა და წიაღის დაცვას კუსტარული სამუშაოების წარმოების დროს.

სასარგებლო წიაღისეულის სახეობებს, რომელთა მიხედვით, ნებადართულია კუსტარული მოპოვება, და წიაღისეულის მაძიებლთა არტელის ტიპობრივ წესდებას ამტკიცებენ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 31. წიაღის გამოყენების წესი იმ მიზნებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან

წიაღის გამოყენება ნავთობის, გაზისა და სხვა ნივთიერებებისა და მასალების მიწისქვეშა შენახვისათვის. ჩამდინარე წყლების ჩაშვებისათვის, მავნე ნივთიერებებისა და წარმოების ნარჩენების ჩამარხვისათვის, აგრეთვე წიაღის გამოყენება სხვა იმ მიზნებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, წარმოებს სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებთან და სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით სპეციალური ტექნიკური პროექტების მიხედვით.

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომელთა გამგებლობაშია მიწისქვეშა ნაგებობანი, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან ფალდებული არიან ამ ნაგებობების ან მათი ნაწილის ექსპლოატაციის, კონსერვაციისა და ლიკვიდაციის დროს შესრულონ ამ საფუძვლების მე-10 და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

მუხლი 32. უწყებრივი კონტროლი წიაღის სარგებლობისადმი

წიაღით სარგებლობის დადგენილი წესის, წიაღის დაცვის, მოპოვებული მინერალური ნედლეულიდან მისი გამდიდრებისა და გადამუშავების დროს სასარგებლო კომპონენტების სრულად და კომპლექსურად მიღების, წიაღის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების, გარემოზე მათი მავნე გავლენის თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის მოვალეობის შესრულების, სასარგებლო წიაღისეულის საბადოებისა და მარაგის სახელმწიფო აღრიცხვის წარმოების წესების, აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესებისა და ნორმების შესრულების უწყებრივ კონტროლს ახორციელებენ სახელმწიფო და სხვა ორგანოები, რომელთა გამგებლობაში არიან წიაღით მოსარგებლე საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, აგრეთვე მინერალური ნედლეულის გამამდიდრებელი საწარმოები და გადამამუშავებელი ორგანიზაციები.

(დასასრული მე-3 გვ.).

წიაღით მოსარგებლეებმა უნდა უზრუნველყონ:

1) წიაღის შესაბამისი უბნის სრული გეოლოგიური შესწავლა, აგრეთვე მისი რაციონალური და კომპლექსური გამოყენება;

2) წიაღის დაცვა და სამუშაოთა უსაფრთხო წარმოება წიაღით სარგებლობის დროს;

3) ატმოსფერული ჰაერის, დედამიწის ზედაპირის, ტყეების, წყლებისა და სხვა ბუნებრივი ობიექტების, აგრეთვე შენობებისა და ნაგებობების დაცვა წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენისაგან.

4) წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ მიწის ნაკვეთების უსაფრთხოება, აგრეთვე მათი გამოსადეგობა სახალხო მეურნეობაში გამოყენებისათვის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. წიაღით სარგებლობის უფლებების შეწყვეტის საფუძვლები და წესი

წიაღით სარგებლობის უფლება წყდება ამ შემთხვევებში, როცა:

1) საჭირო აღარ არის წიაღით სარგებლობა;

2) ამოიწურება წიაღით სარგებლობის დადგენილი ვადა;

3) წიაღის ეს უბანი უნდა გამოიყენონ სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის;

4) გაუქმდება საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებანი, რომლებსაც სარგებლობისათვის მიეცემოდა ჰქონდათ წიაღი.

წიაღით სარგებლობის უფლება შეიძლება შეწყდეს, თუ მოსარგებლემ:

ორი წლის განმავლობაში არ დაიწყო წიაღით სარგებლობა;

ზიანს არ იყენებს ამ მიზნით, რომლისთვისაც იგი მიეცა;

დაარღვია წიაღით სარგებლობისა და მისი დაცვის სხვა წესები.

ამ მუხლის პირველი ნაწილის 1, 3 და 4 პუნქტებით და მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში წიაღის გამოყენებას წყვეტენ შესაბამისი ორგანოები სამთო გამონაკვეთის გამოყოფის შესახებ გაცემული აქტისა თუ მიიღებული გადაწყვეტილების ჯზით.

მიწათმოსარგებლეებს შეიძლება ჩამოერთვათ უფლება მათთვის მიცემულ მიწის ნაკვეთებზე მოიპოვონ საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეული და ტორფი საკუთარი მეურნეობის საჭიროებისათვის თუ დაარღვევს მოპოვების წესები და პირობები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებული იყოს წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლებიც.

მუხლი 12. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მონაწილეობა წიაღის დაცვისა და მისი რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში

სახელმწიფო ორგანოები მოვალენი არიან ყოველნაირად გამოიყენონ პროფკავშირი კავშირების, ახალგაზრდული ორგანიზაციების, ბუნების დაცვის საზოგადოებების, სპეციალური საზოგადოებებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეთა დახმარება წიაღის დაცვისა და მისი რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ საქმიანობაში, რომელიც მიზნად ისახავს წიაღის დაცვისა და მისი რაციონალური

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლები

(დასასრული)

სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა სწორად დამუშავებას კონტროლს უწევენ მარკშაიდერული, გეოლოგიური და სხვა სამსახურები.

მარკშაიდერული და გეოლოგიური სამსახურების შესახებ ტიპობრივ დებულებებს ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

კარი VI.

წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხოება

მუხლი 33. წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ძირითადი დებულებანი

სამთომომპოვებელი საწარმოების, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობების შენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლოატაციის დროს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული გეოლოგიურ-საძიებო და სხვა სამუშაოების შესრულებისას უზრუნველყოფილ უნდა იყოს მუშაკებისა და მოსახლეობის უსაფრთხოება.

იმ პირებს, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა წიაღით სარგებელ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში უსაფრთხოების წესების დაცვისათვის, განსაზღვრავენ ამ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

მუხლი 34. წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების უზრუნველყოფის ძირითადი მოთხოვნები

წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სამუშაოები უზრუნველყოფილ უნდა იყოს:

1) მუშაკთა მიერ სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების წესების შესწავლა და შესრულება, აგრეთვე ავარიების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის საჭირო ღონისძიებათა განხორციელება;

2) სამუშაოთა შეჩერება მუშაკთა სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში, ადამიანთა გამოყვანა უსაშიშრო ადგილზე და საფრთხის აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელება;

3) მანქანების, მოწყობილობისა და მასალების გამოყენება, რომლებიც შეესაბამებიან უსაფრთხოების წესებისა და სანიტარიული ნორმების მოთხოვნებს.

4) ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და აფეთქების საშუალებების ფრაცხვა, მათი სათანადოდ შენახვა და ხარჯვა, აგრეთვე მათი სწორი და უსაფრთხო გამოყენება;

5) უსაფრთხოების წესებით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაციის, მათ შორის, სამთო სამუშაოთა იმ გეგმების, რომლებიც აღნიშნულია სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების ზონების საზღვრები, აგრეთვე ავარიათა ლიკვიდაციის გეგმების დროულად შედგენა.

განსაკუთრებით საშიშ მიწისქვეშა პირობებში მომუშავე პირთათვის ფისციალინის წესდებას ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 35. სამთო სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების განსაკუთრებული მოთხოვნები

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სამთო სამუშაოებს აწარმოებენ, აგრეთვე სახელმწიფო და სხვა ორგანოები, რომელთა გამგებლობაშიც ისინი იმყოფებიან, ვალდებული არიან შეიარაღებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით შეიმუშაონ და განახორციელონ სპეციალური კომპლექსური ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ საიროს ატმოსფეროს შედგენილობის განუწყვეტელ გაუმჯობესებას, სამთო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიისა და კოლექტიური ან ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სრულყოფას, აგრეთვე პროფესიული დაავადებებისა და საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილებას.

სამთო სამუშაოებზე დასაქმებული მუშებისა და მოსამსახურეების ნორმალური ცხოველმოქმედებისა და უსაშიშროებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით სამინისტროები და უწყებები, აგრეთვე სხვა დაინტერესებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები ვალდებული არიან სისტემატურად სრულყოფდნენ უსაფრთხოების წესებს, სანიტარიულ წესებსა და ნორმებს.

აკრძალულია სამთო სამუშაოთა წარმოება იმ შემთხვევაში, თუ მოქმედ სამთო გამონამუშევრების მაღაროს ატმოსფეროში ქანგბადის, აგრეთვე მავნე და ფეთქებასაფრთხო გაზებისა და მტვრის შემცველობა არ შეესაბამება უსაფრთხოების, სანიტარიული წესებისა და ნორმების მოთხოვნებს.

სამთო და ასაფეთქებელ სამუშაოთა ხელმძღვანელებად შეიძლება იყვნენ მხოლოდ ის პირები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სპეციალური განათლება. ასაფეთქებელი სამუშაოები შეიძლება აწარმოონ მხოლოდ პირებმა, რომლებსაც აქვთ ამ სამუშაოთა წარმოების უფლება.

მუხლი 36. სამთო სამუშაოებზე დასაქმებულ პირთა ვალდებულება უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის

სამთო სამუშაოებზე დასაქმებული პირნი ვალდებული არიან:

1) შეასრულონ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესებისა და ნორმების მოთხოვნები და არ დაუშვან სხვა პირთა მიერ ამ მოთხოვნების დარღვევა;

2) სისტემატურად შეამოწმონ სამთო გვირაბებისა და მოწყობილობის მდგომარეობა და განახორციელონ უსაფრთხოების წესების გამოყენული დარღვევათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებანი;

3) სამუშაოზე იყვნენ სპეციალური ტანსაცმლით და ისარგებლონ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

4) არ დაუშვან სამუშაოთა შესრულება იმ ხერხებით, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან ავარიის ან უბედური შემთხვევის საშიშროება.

5) საშიშროების წარმოების შემთხვევაში შეუყვანონ სამუშაოები, დაუყოვნებლივ აცნობონ ეს სამუშაოთა ხელმძღვანელს და იმოქმედონ ავარიების ლიკვიდაციის გეგმის შესაბამისად.

მუხლი 37. სამთო-საშველი სამსახური

საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც სამთო სამუშაოებს ასრულებენ, ემსახურებიან სამთო-საშველი ნაწილები, ხოლო ნავთობისა და გაზის საბურღ სამუშაოთა მწარმოებლებს —გაზისა და ნავთობის ღია შადრევნების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის სამსახურები. ამ ნაწილებისა და სამსახურების დისლოკაციის განსაზღვრავენ შესაბამისი სამინისტროები და უწყებები სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი. მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ვალდებული არიან სამთო-მომპოვებელ საწარმოებში ავარიის შემთხვევაში მისცენ სატრანსპორტო საშუალებანი, მასალები და მოწყობილობა, კავშირგაბმულობის საშუალებანი და მედიკამენტები და ავარიის ლიკვიდაციისათვის გაუწიონ სხვა სახის დახმარება.

კარი VII.

წიაღის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო ზედამხედველობა და გეოლოგიურ სამუშაოთა სწორად წარმოების სახელმწიფო კონტროლი

მუხლი 38. სახელმწიფო სამთო ზედამხედველობა და სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლი

წიაღის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო ზედამხედველობას (სახელმწიფო სამთო ზედამხედველობა) და გეოლოგიურ სამუშაოთა სწორი წარმოების სახელმწიფო კონტროლს (სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლი) ახორციელებენ ამისათვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები იმ წესის თანახმად, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის კანონმდებლობით.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოები და მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები კონტროლს უწევენ წიაღის სწორად გაშრყენებასა და დაცვას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 39. სახელმწიფო სამთო ზედამხედველობა

სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ამოცანაა უზრუნველყოს, რომ ყველა სამინისტრომ, უწყებამ, სახელმწიფო, კოოპერაციულმა და საზოგადოებრივმა საწარმომ, ორგანიზაციამ, დაწესებულებამ, აგრეთვე მოქალაქეებმა დაიცვან წიაღით სარგებლობის დადგენილი წესი, შეასრულონ თავიანთი მოვალეობა წიაღის დაცვის, წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების, ტიული და სახელმწიფო დისციპლინის დანერგვისათვის, მუშაკებში თვითდისციპლინის აღზრდისათვის, მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის.

კრებამ პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელების ყურადღება გაამახვილა ამ ფაქტზე, რომ მოპოვებული ერთგვარი წარმატებების შემდეგ ზოგან თავი იჩინა თვითდამშვიდებისა და თვითკმაყოფილების განწყობილებამ, პრინციპული შეფასება არ ეძლევა გაუმართავ და არაორთოდოქსულ მუშაობას. შარშან სამრეწველო საწარმოთა 63 პროცენტმა ვერ უზრუნველყო ცალკეული თვეების მიხედვით გეგმა-ვალდებულებათა შესრულება. ცუდი ეკონომიური მაჩვენებლები აქვთ საკონსერვო და საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხნების, პუპროდუქტების ბაზის კოლექტივებს.

ქალაქის მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით გეგმების შესრულებას. მთელ რიგ საწარმოებში საშუალო ხელფასის ზრდის ტემპი წინ უსწრებს შრომის საყოფიერების ზრდას.

უკანასკნელ პერიოდში მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებების მიუხედავად ჯერ კიდევ დაბალია გამომუშავებული პროდუქციის ხარისხი. მარტო გასული წლის 9 თვეში მიღებულ 660 რეკლამაციაზე ჯარიმის სახით გადახდილია 226,6 ათასი მანეთი. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, მაუდისა და ტრიკოტაჟის ფაბრიკებში, ტყავფეხსაცმლის კომბინატში და სხვ.

სერიოზული ნაკლოვანებებია სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში. № 4 სამშენებლო ტრესტში (მმართველი ნ. ჯიქია) შექმნილია შეუწყნარებელი უპასუხისმგებლობისა და მოჩვენებითი კეთილდღეობის ატმოსფერო. დაბალია შრომის ორგანიზაცია, ადგილი აქვს ეერშომბანას, გრაფიკების ჩაშლას, დღითიდღე უარესდება შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი, შეინიშნება მოჯარადრე და დამკვეთი ორგანიზაციების ხელმძღვანელობასთან არაკოლეგიალური დამოკიდებულება.

გაუმჯობესებას საჭიროებს ქალაქის მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურება, იგი ვერ უპასუხებს სადღეისო მოთხოვნებს, არ შეესაბამება პარტიის საქალაქო ორგანიზაციის 30-ე კონფერენციის გადაწყვეტილებებს.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მთლიანად და სავსებით მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამ გადაწყვეტილებათა და პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში დასახული ამოცანების განხორციელება მიიჩნია ქალაქის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, ეკონომიური, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფის საბრძოლო პროგრამად. პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო ქუთაისის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი 1975 წლის გეგმისა და მეცხრე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

ახალი მიჯნები, ახალი ამოცანები

ქუთაისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

გაიმართა ქუთაისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელშიც განიხილა საქართველოს „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1974 წ.) პლენუმის შედეგები და ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“. მოხსენებელმა — პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. ხაბეიშვილმა და კამათის მონაწილე ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე პარტიის საქალაქო კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობაში სულ უფრო ფართოდ ნერგავდნენ მუშაობის ლენინურ სტილს, შრომისადმი მეცნიერული გაძღოლის მეთოდებს. განელილი წლების მთავარი პოლიტიკური შედეგი ის არის, რომ დაძლეულია მე-9 ხუთწლედის წარმოების ზრდის ტემპების ჩამორჩენის ტენდენცია, ყველა სამრეწველო საწარმომ გაართვა თავი გასული წლის დავალებათა შესრულებას.

ხუთწლედის განელილი ოთხი წლის დავალება ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა ვადამდე, გასული წლის 28 ნოემბრისათვის შეასრულეს, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 48.235 ათასი მანეთის პროდუქცია, რეალიზებულია 45 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სხვადასხვა სამრეწველო ნაწარმი. მარტო 1974 წელს გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნა 19.287 ათასი მანეთის, ხოლო რეალიზებულია 18.778 ათასი მანეთის პროდუქცია. შარშან პირველად იქნა მიღწეული მე-9 ხუთწლედის დირექტივებით დასახულ დავალებათა განაღდება. წარმოების მოცულობა 1970 წელთან შედარებით ნაცვლად გეგმიური 31,1 პროცენტისა, გაიზარდა 33,4 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა შეადგინა 28,2 პროცენტი (1,4 პროცენტით მეტი, ვიდრე ამას ხუთწლედის დირექტივები ითვალისწინებდა). წარმატებებია მოპოვებული სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. შემცირდა რეკლამაციები და წუნით გამოწეული დანაკარგები. გადაიდგა პირველი ნაბიჯები ტიული და სახელმწიფო დისციპლინის გამტკიცებისათვის, მუშაკებში თვითდისციპლინის აღზრდისათვის, მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის.

კრებამ პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელების ყურადღება გაამახვილა ამ ფაქტზე, რომ მოპოვებული ერთგვარი წარმატებების შემდეგ ზოგან თავი იჩინა თვითდამშვიდებისა და თვითკმაყოფილების განწყობილებამ, პრინციპული შეფასება არ ეძლევა გაუმართავ და არაორთოდოქსულ მუშაობას. შარშან სამრეწველო საწარმოთა 63 პროცენტმა ვერ უზრუნველყო ცალკეული თვეების მიხედვით გეგმა-ვალდებულებათა შესრულება. ცუდი ეკონომიური მაჩვენებლები აქვთ საკონსერვო და საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხნების, პუპროდუქტების ბაზის კოლექტივებს.

ქალაქის მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით გეგმების შესრულებას. მთელ რიგ საწარმოებში საშუალო ხელფასის ზრდის ტემპი წინ უსწრებს შრომის საყოფიერების ზრდას.

უკანასკნელ პერიოდში მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებების მიუხედავად ჯერ კიდევ დაბალია გამომუშავებული პროდუქციის ხარისხი. მარტო გასული წლის 9 თვეში მიღებულ 660 რეკლამაციაზე ჯარიმის სახით გადახდილია 226,6 ათასი მანეთი. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, მაუდისა და ტრიკოტაჟის ფაბრიკებში, ტყავფეხსაცმლის კომბინატში და სხვ.

ახალი ამოცანები

ქუთაისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

ქუთაისი, 25 იანვარი.

ბ. ბ. ბ.

ბ. ბ. ბ.

**ბ. ბ. ბ

ჯ. ფორდი მხარს უჭერს ლ. ი. ბრეჟნევთან კონტაქტების განგრძობას

ვაშინგტონი, 24 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა თეთრ სახლში მიიღო საბჭოთა ახალგაზრდული გამოცემების რედაქტორთა დელეგაცია, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება. საუბრის დროს, როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა ჯ. ფორდმა მხარი დაუჭირა დაძაბულობის შენელების განგრძობასა და გაფართოებას და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა განცხადება ამ შეხვედრის შესახებ, რომელშიც ნათქვამია:

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მას წილად ხვდა პატივი ნოემბერში სწვეოდა საბჭოთა კავშირს და რომ ვლადივოსტოკში ყოფნის დროს ფრთად წარმატებული შეხვედრა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ლ. ი. ბრეჟნევთან. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ, მისი რწმენით, ეს ვიზიტი მეტად პროდუქტიული იყო და აღუძრა სურვილი კიდევ ერთხელ ეწვიოს საბჭოთა კავშირს.

პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა განაცხადა, რომ იგი მომავალ ზაფხულში მიელის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ჩამოსვლას.

პრეზიდენტმა თქვა, რომ მას იმედი ჩაუნერგა კონტაქტებმა, რომლებიც დაამყარა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებთან როგორც ვლადივოსტოკში, ისე ვაშინგტონში, და რომ ორი ქვეყნის წინაშე ისახება შესანიშნავი შესაძლებლობა წვლილი შეიტანონ მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმის განმტკიცებაში.

ლონდონი პირველი რეფერენდუმი

ლონდონი, 24 იანვარი. (საკდესი). ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ „საერთო ბაზარში“ დიდი ბრიტანეთის მონაწილეობის საკითხზე რეფერენდუმი 1975 წლის ივნისის დამლეგამდე მოეწყობა იმ შემთხვევაში, თუ ამ დროისათვის ცნობილი იქნება შედეგები მოლაპარაკებისა, რომელიც ახლა მიმდინარეობს ცხრა ქვეყნის ხელმძღვანელობასთან ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში ინგლისის წევრობის პირობების გადასინჯვის თაობაზე. როგორც კი გამოირკვევა ამ მოლაპარაკების შედეგები, თქვა პრემიერ-მინისტრმა, მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ურჩიოს ქვეყანას დარჩეს გაერთიანებაში გადასინჯული პირობების საფუძველზე, თუ გამოვიდეს „საერთო ბაზრიდან“.

რეფერენდუმის მოწყობის შესახებ კანონპროექტი განსახილველად წარედგინება პარლამენტს ამა წლის აპრილში, თქვა ვილსონმა.

„საერთო ბაზარში“ ინგლისის მონაწილეობის გამო რეფერენდუმი პირველი რეფერენდუმი იქნება ამ ქვეყნის ისტორიაში.

იზრდება დამნაშავეობა

ბონი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის უდიდესი მხარის — ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხსენებიდან, ამ მხარეში დამნაშავეობის წინააღმდეგ „ეფექტიანი ბრძოლისათვის“ საჭიროა 10 ათასი კაცი შეემატოს პოლიციელთა ქვეგანაყოფებს. 1974 წელს სისხლის სამართლის დანაშაულთა რიცხვი აქ კიდევ 7,9 პროცენტით გაიზარდა და 742 ათასს მიაღწია.

კაირო

ჟურნალისტთა დეპეშა

კაირო, 24 იანვარი. (საკდესი). არაბ ჟურნალისტთა ფედერაციამ, პალესტინელ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირმა საპროტესტო დეპეშა გაუგზავნეს ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მრჩევლ შტაბ-ბინას იმის გამო, რომ ისრაელმა ოკუპანტებმა გაანამართლეს იორდანიის კომპარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მოღვაწე, თვალსაჩინო პალესტინელი ჟურნალისტი ბაშირ ალ-ბარგუტი.

დეპეშა მოუწოდებს მთელი მსოფლიოს დემოკრატ ჟურნალისტებს გამოთქვან პროტესტი ტელავივის თვითნებობის წინააღმდეგ.

სან-ხოსე

დეკუტატთა მოთხოვნა

სან-ხოსე, 23 იანვარი. (საკდესი). კოსტა-რიკის საკანონმდებლო კრების 30 დეპუტატმა — ქვეყნის ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა — მოუწოდეს რესპუბლიკის პრეზიდენტს ოდუბერს ალადგინოს დიპლომატიური ურთიერთობა კუბის რესპუბლიკასთან.

დადგა დრო, ნათქვამია სახელმწიფოს მეთაურისათვის გაგზავნილ მემორანდუმში, ბოლო მოეღოს „ცივ ომს“, ქვეყნებს შორის ურთიერთობის საფუძვლად დადგეს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი.

დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა, ხაზგასმით აღნიშნეს დეპუტატებმა, ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის სავაჭრო და სხვა ურთიერთობის განვითარებას.

საშიში გეგმები

ვაშინგტონი, 23 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აწარმოებს მოლაპარაკებას ომანისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებთან, რათა მიიღოს არაბეთის ზღვაში ომანის მსირიდ კუნძულზე ინგლისის სამხედრო-საჰაერო ბაზის გამოყენების ნებართვა. ეს პრეს-კონფერენციაზე განაცხადა თეთრი სახლის წარმომადგენელმა. მან თქვა, რომ ინდოეთის ოკეანისა და სპარსეთის ყურის მეზობელ ზონაში „სამხედრო ყოფნის გაფართოებისა“ პოლიტიკის შესაბამისად შეერთებული შტატები მნიშვნელოვნად ზრდის ამ რაიონში მოქმედი თავისი სამხედრო ხომალდებისა და თვითმფრინავების რიცხვს.

ანალოგიური განცხადება გააკეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ შეერთებულმა შტატებმა ომანის მთავრობის წინაშე დასვა საკითხი მსირის კუნძულზე ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების დაჯდომის შესაძლებლობის შესახებ.

ბეირუთი, 23 იანვარი. (საკდესი). „ამერიკის შეერთებული შტატები დიდი ხანია ემპარება სულთან კაბუსს ომანელ პატრიოტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ახლა იგი ეშნაღება თავისი ბაზა შექმნას მსირის კუნძულზე“, განაცხადა აქ ომანის განთავისუფლების სახალხო ფრონტის წარმომადგენელმა მუკამედ სეიფმა.

პრეს-კონფერენციაზე ომანის განთავისუფლების სახალხო ფრონტის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ სამხედრო ბაზის შექმნის გეგმები საფრთხეს უქმნიან ამ რაიონის ყველა ქვეყნის უშიშროებას.

მ. სეიფმა დაგმო, რომ ირანის ჯარები აქტიურად მონაწილეობენ სულთან კაბუსის ინტერვენციულ ექსპედიციებში და მხარს უჭერენ მის ბრძოლას ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების წინააღმდეგ. მან დამსწრეთ უჩვენა ომანელ პატრიოტთა მიერ დატყვევებული ირანელი სამხედრო მოსამსახურეების დოკუმენტები.

კულტურა და ხელოვნება

ეცნობიან ქართულ ხელოვნებას

ქართული ჰედური ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენა ალჟირის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ალჟირი, 23 იანვარი. (საკდესი). ქართული ჰედური ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენა გაიხსნა ალჟირელ მხატვართა კავშირის გალერიაში. ამ ექსპოზიციაში წარმოდგენილია ქართული ჰედური ხელოვნების ოსტატების ი. ქოფავას, ი. ოჩიაურის, კ. გურულის, თ. დევდარიანის 50-მდე ნამუშევარი.

გამოფენის გახსნის ცერემონიაზე გამოვიდა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ინფორმაციისა და კულტურის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი მ. ფალა, რომელმაც გამოთქვა რწმენა, რომ გამოფენა საშუალებას მისცემს ალჟირელებს უკეთ გაეცნონ საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნებასა და კულტურას.

გამოფენის გახსნას დაესწრო „სსრ კავშირ-ალჟირის“ მეგობრობის ნაზოგადოების დელეგაცია, რომელიც აქ იმყოფება.

ავგები • ფაქტები

საკ ესი და უცხოეთის პრესის საკაგენტოები იტყობინება ამ

დღეს პრემიერა

„ლელა“

ახალი ქართული ოპერა



რ. ლაღიძე



გ. აზმაიფარაშვილი

მ. ამირანაშვილი

ზ. ანჯაფარიძე

წლევანდელი წლის ოცდახუთი იანვარი საქართველოს მუსიკალური საზოგადოებრიობისა და საერთოდ ხელოვნების მოყვარულთათვის საგულისხმო დღეა. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე პირველად იდგმება კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის ოპერა „ლელა“ (ლიბრეტოს ავტორია ლ. ჭუბაბრია). სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ყორდანიამ. გუშინ გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ზ. რცხილაძე შეხვდა ოპერის ავტორებს, მონაწილეებს და ჩაიწერა მათი ნაამბობი, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ.

რევაზ ლაღიძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

თქმა არ უნდა, პრემიერას ყველაზე მოუთმენლად მე ველოდები. რას იტყვის მუსიკალური საზოგადოებრიობა? შესძლებს თუ არა ოპერა „ლელა“ იმ სულიერ ღელვათა და ჩანაფიქრთა გადმოცემას, რომლებიც გვგონია რომ შიგ ჩავაქსოვეთ. ჩავაქსოვეთ-მეთქი, როცა ვამბობ, უწინარეს ყოვლისა, მთელ საოპერო დასს ვგულისხმობ. ახლაც თვალწინ მიდგას ზურაბ ანჯაფარიძესთან გატარებული საათები პარტიტურის სრულყოფისათვის და ბევრი სხვა ნიუანსის დადგენისათვის... და განა მარტო ზურაბი! — შეიძლება თქვა, რომ ოპერა „ლელას“ მხოლოდ ქართული თეატრისათვის, მხოლოდ ნაცნობი მომღერლებისათვის, მათი ხასიათებისა და ნიშანთვისებების გათვალისწინებით ეწერდა.

ლელაზე მუშაობა დაიწყო დირიჟორმა ვ. ფალიაშვილმა, შემდეგ იგი გ. აზმაიფარაშვილმა. შეცვალა, რომლის პროფესიული ოსტატობის მაღალმა დონემ, ალბომ, ემოციურობამ ამ სპექტაკლზე ჩამოყალიბა ოპერის სახე. გ. აზმაიფარაშვილმა ჩანაფიქრთა ნიუანსებში გარკვევითა და ჩაწვდომით ამოიკითხა პარტიტურა.

დიდი მონდომება გამოამჟღავნა თეატრის მთელმა დასმა. მსურს, როგორც ავტორმა, დასს მადლობა ვუთხრა და ვუსურვო, რომ მათს მონდომებას კეთილი ნაყოფი მოეცეს.

გივი აზმაიფარაშვილი,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დირიჟორი

ეოველი ახალი ქართული ოპერის დაბადება დიდი მოვლენაა ჩვენს სინამდვილეში და მას მთელი გულისყურით ვეგებებით. ამჯერად ქართული საოპერო თეატრი რევაზ ლაღიძის ოპერა „ლელათი“ წარმოგვიდგება. რ. ლაღიძე ცნობილია როგორც კარგი, მელოდიური სიმღერების ავტორი. „ლელა“ მისი პირველი საოპერო ნაწარმოებია და საზოგადოებრიობის ინტერესი მის მიმართ სავსებით ბუნებრივია. ოპერის პარტიტურა მდერადია, გულწრფელი და უშუალო. არიები, დუეტები, ანსამბლები, გუნდები, რომლებიც პროფესიული ოსტატობით არის აგებული ქართულ ხალხურ ინტონაციებზე, საამოდ მოსასმენია. ოპერის პატრიოტულ-პროიკული მინაარსისა და ყოერადობის შედეგია, რომ მასზე დასი გატაცებით მუშაობდა, შეიძლება ითქვას, დღეღამეს ასწორებდა.

როგორც დირიჟორმა, უნდა ვთქვა, რომ ლაღიძისთვის დამახასიათებელი ლირიზმით აღბეჭდილი მუსიკა ასათვისებლად რთული აღმოჩნდა... მაგრამ მომღერლების ენთუზიაზმი მაფიერებინებს, რომ ოპერის აღქმა მსმენელისათვის სასიამოვნო უნდა იყოს, თუმცა დღეს პრემიერაა და სიტყვას უკეთესად მაყურებელი იტყვის.

მედეა ამირანაშვილი,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

მასპიროებიცა და მომღერალიც ყველაზე მეტად მაშინ ღელავს, როცა ახალ როლს ან პარტიას ისმენს. საინტერესო, იქნება თუ არა ეს პარტია, რა სიახლე შეიძლება მოეძებნოს მის ხასიათს? როცა პირველად ლელას პარტია მოვისმინე, იგი მრავალმხრივ საყურადღებო მომეჩვენა. ჯერ ერთი, მასში ერთმანეთს ეერწყმის ლირიკული, ჰეროიკული, პატრიოტული ელემენტები და შინაარსი. ასეთი პარტიები ტრადიციულად მამაკაცების კუთვნილება იყო. ამიტომაც დამაინტერესა ლელამ, ამ ახალმა სახემ ამ გმირებთან შედარებით, რომლის განსახიერებაც მომიწია ქართულ ოპერებში.

ზურაბ ანჯაფარიძე,
საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი

ალბათ გასაგებია ის სიხარული და ღელვაც, რაც ახალი ქართული ოპერის შექმნას ახლავს. სასიამოვნოა აღვნიშნოთ, რომ კომპოზიტორ რევაზ ლაღიძესთან ჩვენი, მსახიობების შემოქმედებითი კავშირი დაგმის პროცესშიაც გრძელდებოდა. ჩემი აზრით, ეს ერთადერთი სწორი გზაა ახალი, თანამედროვე თეატრალური ნაწარმოების შექმნისა. წინდაწინ სპექტაკლის ავკარგზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ მსურს ორიოდე სიტყვით მოვიხსენიო ბერდოს პარტია, რომელსაც მე ვასრულებ. ბერდოს არაერთი მიწერი შეცდომა მოუვა, რომლის წინაშე ბევრი შედრკებოდა. მისი მეორე, სახელმწიფოებრივ-პატრიოტული მოღვაწეობა კი აუცილებელ ხარკს მოითხოვს, რთულ შინგან ღელვათა სამყაროში გარკვევას მოითხოვს მისი პიროვნება. შემიძლია ვთქვა, რომ ბოლო დროს არცერთი გმირის სახეს არ ავუღელვებივარ ასე...

ხურათზე: სპექტაკლ „ლელას“ მესამე მოქმედების ერთ-ერთი ხვცენა.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

ფაგისის აკადემია მუშაობას შეუდგა

როგორც მკითხველებისათვის ცნობილია, ჟ. ფოთში 1974 წლის ივლისში შეიქმნა სახალხო აკადემიის პირველი მეცადინეობა.

აკადემიის მსმენელებს მიესალმა და სასწავლო წლის დაწყება მიულოცა რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჩიტაიამ. მსმენელებს სასწავლო გეგმა გაეცნო საქართველოს „ჟ ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ლაკაიამ.

ლექცია თემაზე — „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ — წაიკითხა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. გუნიამ. „ბუნების დაცვის თანამედროვე პრობლემები“ „ასეთი იყო აკადემიკოს თ. დავითაიას ლექციის თემა.

მეცადინეობაში მონაწილეობას იღებდა ფაზისის სახალხო აკადემიის პრორექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ი. მარცხულავა.

ბ. კომახიძე.

დიდი მოგება

წყალტუბო. (საკ. კორ.). ამ დღეებში სანატორიუმ „წყალტუბოს“ სამნეო ნაწილის გამგემ ვ. ბ. ნუცუბიძემ რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1974 წლის მე-12 გამოშვების ლატარიის ბილეთი (სერია 35469, № 328), რომელსაც ხვდა მოგება ავტომანქანა „ვოლგა“.

ასევე დიდი მოგება — ათასი მანეთი ხვდა წყალტუბოელ გ. თ. არდაჯანოვს 1966 წლის გამოშვების სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის 41-ე თანრიგის მეხუთე სერიის № 101102 ობლიგაციაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორი სალამოს სწავლების დარგში, დოცენტი

აკაკი კონდრატეს-ძე კინწურაშვილი

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

მათე მიხეილის-ძე მირიანაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ტელევიზია

25 იანვარი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო ფილმი „დღე სიმღერით“, 11.00 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ფერადი მხატვრული ფილმი „დაკარგული მილიონები“, 13.00 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 13.30 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი — „ლურჯ ცასთან“, 14.15 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.45 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 15.30 — ფერადი ტელევიზია — „ადამიანი, მიწა, სამყარო“, (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.00 — ფერადი ტელევიზია — საბჭოთა კავშირის 1974 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „კინოდოკუმენტალისტის თვალით“, 17.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.05 — „მილიონთა ხვედრი“. უმუშევრობის პრობლემა კაპიტალის ქვეყნებში (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — ფერადი ტელევიზია — მუსტიპლიკაციური ფილმი „მაუგლი“ (პირველი სერია), 19.00 — საკონტეინერო გადაზიდვა და მოუგვარებელი პრობლემები (გამეორებით), 19.35 — „თბილისი და თბილისელები“, 20.05 — კონცერტი, 20.40 — კინონარკვევი, 20.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.20 — მხატვრული ფილმები: ჩარლი-ჩაპლინის მონაწილეობით „გრაფი“ და „მაღაზიის მორიგე ადმინისტრატორი“. 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — არჩილ ჩხარტიშვილი, 23.40 — ახალი ამბები, 23.50 — სატელევიზიო ფილმი, 24.00 — ფერადი ტელევიზია — საესტრადო კონცერტი (გადაცემა თბილისიდან ინტერვიზიისათვის).

მეორე პროგრამით

18.05 — სატელევიზიო დადგმა „ექიმი სტოკმანი“ (პირველი ნაწილი), 19.35 — სატელევიზიო ფილმი „ქვევრი“ (საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები), 20.05 — მხატვრული ფილმი „თბილ ღუმელთან“, 21.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიტყვა ჩრდილოეთ ყირიმზე“.

ჩაი ვსაჭოთ, ჩაი ვოვისჭიროთ

რადიო

26 იანვარი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერის“ საკავშირო გამოშვება, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — „მუსიკალური რადიოაფიშა“, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი“. ტრანსლაცია ბაქოდან, 15.30 — დიდები და პატარები“. საუბარი „ბავშვის დაბადების დღე“, 15.45 — ა. რაქიანიშვილი. პიესები საესტრადო ორკესტრისათვის, 16.15 — რადიოფურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები“, 17.15 — მოსწავლეთათვის. „მოგზაურობა ცოდნის სამყაროში“ — ი. პავლოვი, 18.10 — კონცერტი, თქვენი თხოვნით, მეგობრებო, 19.35 — ქართული ხალხური მუსიკა, 20.20 — „ხუთწლედის მოწინავენი“, 20.32 — გ. ლორთქიფანიძე. „ნატვრის თვალი“. რადიოდადგმა, 21.20 — ე. ვირსალაძის კონცერტი, 23.30 — მუსიკა კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

25 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ლელა (პრემიერა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდებო დასკვნა; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კვამი კვაჭანტირაძე (14 იანვრის შეძენილი ბილეთები ვარგისია 25 იანვრისათვის); ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჯარში მიდის დედისერთა.

ჟურნალისტთა ფინალური მატჩი

უკომპრომისო ბრძოლა



მესამე პარტიაში ლევიტინმა პირველად გამოიყენა სიცილიური დაცვა. თუნდაც ეს ფაქტი მოასწავებს იმას, რომ მატჩში სრულიად უკომპრომისო ბრძოლა მიმდინარეობს, ორივე პრეტენდენტი მწვავე კომბინაციური სტილის მოჭადრაკეა და თავიდანვე მდგომარეობის გამწვავებას ამჯობინებს. მაგრამ პარტიები თუ ჯერჯერობით ყაიმით თავრდება, უფრო შემთხვევითობის უნდა მიეწეროს.

ალექსანდრიამ თეთრებით ამჯერად უპრეტენზიოდ გაითამაშა დებიუტი. მეთერთმეტე სვლაზე მან გვერდი აუარა (ძნელი სათქმელია, რა მოსაზრებით!) თეორიის მიერ უძლიერესად მიჩნეულ გაგრძელებას. ლევიტინამ ოლად დასრულა ფიგურების განვითარება.

თეორიების 21-ე სვლის შემდეგ შეიქმნა კრიტიკული პოზიცია. სპეციალისტების აზრით, სწორი სვლის შემთხვევაში ლევიტინას შეეძლო გარკვეული უპირატესობა მოეპოვებინა. ლენინგრადელმა მოჭადრაკემ ზერელედ შეაფასა პოზიცია და სწორად არ გაცვალა მხედარი, რაც მხოლოდ მეტოქისათვის იყო ხელსაყრელი.

ამ მომენტიდან მოყოლებული ალექსანდრიამ, თუმცა დრო ცოტა ჰქონდა (20 წუთი 20 სვლაზე!), მოხდენილად გაართულა ბრძოლა. პაიკის დროებითი შეწირვით ქართველმა მოჭადრაკემ გააქტიურა ფიგურები და მეტოქე რთული პრობლემის წინაშე დააყენა. ლაზიერების გაცვლის შემდეგ წარმოიქმნა დაბოლოება, სადაც ალექსანდრიამ აამოძრავა გამოსვლელი პაიკი და ეტლით შეიჭრა მეტოქის ბანაკში. მაშინ ლევიტინამ გზა გადაუღობა ამ ეტლს ეტლის გაცვლა შესთავაზა მეტოქეს.

41-ე სვლაზე პარტია გადაიდო ალექსანდრიას მატერიალური უპირატესობით — ზედმეტი პაიკით ლევიტინა ყაიმის კარგ შესაძლებლობას ინარჩუნებდა.

მატჩის მესამე პარტია
ალექსანდრია — ლევიტინა
სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ᲑᲒ3 e6 3. d4 cd 4. ᲑᲓ4 a6 5. ᲑᲒ3 ᲑᲒ6 6. g3 ᲚᲒ7 7. ᲓᲒ2 ᲑᲕ6 8. 0-0 ᲒᲔ7 9. ᲔᲔ1 ᲑᲒ4 10. ᲚᲒ4 ᲒᲒ5 11. ᲚᲓ1 d6 12. ᲒᲔ3 0-0, 13. ᲒᲒ5 ᲚᲒ5 14. ᲚᲓ2 e5 15. ᲔᲐᲓ1 ᲔᲓ8 16. ᲚᲔ3 ᲚᲗ4 17. ᲔᲑ1 ᲒᲔ6 18. a3 ᲚᲐ5 19. ᲔᲑᲓ1 ᲔᲐᲒ8 20. ᲔᲓ2 b5 21. ᲑᲓ5 ᲑᲒ5 22. ed ᲒᲕ5 23. c3 ᲚᲒ7 24. ᲚᲒ5 ᲚᲓ7 25. f4 f6 26. ᲚᲗ4 ᲔᲒ4 27. ᲒᲕ1 ᲔᲐ4 28. b3 ᲔᲒᲐ3 29. fe fe 30. ᲚᲗ4 ᲚᲐ7+ 31. ᲛᲔᲒ2 ᲚᲒ5 32. ᲚᲒ5 dc 33. ᲔᲒ5 g6 34. d6 ᲔᲑ3 35. ᲔᲒ5 ᲛᲔᲕ7 36. c4 ᲛᲔᲕ6 37. cb ab 38. ᲒᲑ5 ᲔᲐ3 39. ᲔᲒ7 h5 40. ᲒᲒ4 ᲔᲓ7.

ამ პოზიციაში ალექსანდრიამ ჩაიწერა 41-ე სვლა.

პარტია ახე დამთავრდა:

41. ᲔᲒ8 ᲔᲒ3 42. ᲔᲕ5+ ᲛᲔᲒ7 43. ᲔᲒ8+ ᲛᲔᲗ7 44. ᲔᲒ8 ᲛᲔᲓ6 45. ᲔᲒ5 ᲔᲒ2 46. ᲔᲒ2 ᲒᲒ2. ᲧᲐᲘᲛᲘ. ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 1,5:1,5. დღეს მეტოქენი ისვენებენ. მორიგი, მეოთხე პარტია გაიმართება ხვალ. თეთრებით თამაშობს ლევიტინა.

გ. ბამრეკელი.

მეოთხე გამარჯვება

კოლანდიის ქალაქ ვეიკ-ან-ზეეში მიმდინარე ქალთა საერთაშორისო ჭადრაკო ტურნირის მეოთხე ტურში ნონა გაფრინდაშვილმა კვლავ წარმატებას მიაღწია — მოუგო ჰოლანდიელ ვან დერ გისენს. ოვანკამ (უნგრეთი) დაამარცხა პოდრაჯანსკაია (ისრაელი).

ამრიგად, ტურნირს კვლავ ორი ლიდერი ჰყავს — გაფრინდაშვილი და ოვანკა — ოთხ-ოთხი ქულა.

კვლავ ფიშერზე

ბელგრადი, 24 იანვარი. (საკდესი). ბელგრადის საღამოს გაზეთმა გამოაქვეყნა ცნობილი იუგოსლავიელი ჟურნალისტის ი. გრიზელის კომენტარები ქალაქში მსოფლიოს ჩემპიონის, ამერიკელი გროსმაისტერის რობერტ ფიშერის ქცევის შესახებ.

ფიშერი, წერს გრიზელი, ყველა ჩვენგანს კვლავ ნერვებს გვიშლის. მოკლედ ასეთნაირად შეიძლება გავუკეთოთ რეზიუმე ყოველივე იმას, რაც ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონის წოდებისათვის მომავალი მატჩის ირგვლივ ახლა ხდება. ფიშერი ისე იქცევა, როგორც ანჩხლი ქალი — ხან ჭრის, ხან კერავს, ხან ერთ რაიმეს უნდა დაპირდე, ხან მეორეს. მერე, როცა ითხოვდა, ყველაფერის მიცემას დაპირებიან, ისევ გაუთავებლად ახალ-ახალ პირობებს აყენებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ფიშერს კარგად იცნობენ, ფიქრობენ, რომ მისი ერთადერთი ხერხია ყოველნაირად წინასწარ ნერვები მოუშალოს თავის მეტოქეს და მატჩი თანაბარი ფსიქიურ-ფიზიკური შანსებით დაიწყოს. ფიშერის ეს ქცევა მის მიერ დეტალებამდე აწონილ-დაწონილი ტაქტიკის ნაწილია.

ფეხბურთი

წილისყრის შედეგად

ევროპის „არარატსა“ და კიევის „დინამოს“ მეტოქეების შესახებ ეკონომის თასების გათამაშებაში — „ბავარიასა“ (გფრ) და „ბურსასპორზე“ (თურქეთი) გუშინ ჩვენ უკვე ვიუწყებოდით.

ეი მეოთხედფინალების დანარჩენი წყვილები, რომლებიც გამოავლინა ციურიხში, უეფა-ს შტაბ-ბინაში გამართულმა წილისყრამ: ჩემპიონთა თასი — „ლიდსი“ (ინგლისი) — „ანდერლეხტი“ (ბელგია), „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „ატვიდაბერგი“ (შვეიცარია), „რუხი“ (პოლონეთი) — „სენტ-ეტიენი“ (საფრანგეთი); თასების თასი — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „ცრეენა ზეზედა“ (იუგოსლავია), „ძალმე“ (შვეიცარია) — „ფერენცვაროში“ (უნგრეთი), „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) — „ბენფიკა“ (პორტუგალია); უეფა-ს თასი — „ველეეი“ (იუგოსლავია) — „ტვენტე“ (ჰოლანდია), „იუვენტუსი“ (იტალია) — „ჰამბურგი“ (გფრ), „კიოლნი“ (გფრ) — „ამსტერდამი“ (ჰოლანდია), „ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკია) — „ბორუსია“ (გფრ).

პირველი მატჩები გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე 5 მარტს, განმეორებითი — 19 მარტს.

სპორტის ამბები

კრივი. საბჭოთა ნაკრებმა მეორე მატჩი გამართა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნევადის შტატის ქალაქ სტეიტლაინში და კვლავ გაიმარჯვა. ჩვენმა მოკრივეებმა მოიგეს ექვსი შეხვედრა შვიდიდან.

ფეხბურთი. საბჭოთა ნაკრები, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისათვის იუგოსლავიაში ემზადება, დღეს და ხვალ საკონტროლო შეხვედრებს ჩაატარებს ორი შემადგენლობით ლუბლიანასა და სპლიტში.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲠᲔᲚᲘ

ᲛᲐᲢᲠᲘᲪᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

**ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲣ